

DON CRISTOFORO CASTELLI - MEDIATOR OF GEORGIA

დონ კრისტოფორო კასტელი - საქართველოს მედიატორე

ELDAR MAMISTVALISHVILI

Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State University,
Chavchavadze st., No53, Gori, 1400, Georgia
+995577251204, eldarmamistvalishvili@rambler.ru
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

Abstract. In 1654, Cristoforo Castelli, an aged and ailing figure, a great supporter of Georgia, departed from the region after 22 years and returned to his homeland - Italy. Accompanying him were the remnants crafted with selfless work: letters, ethnographic descriptions, notably paintings, which for Mikel Tamarashvili (Michel Tamarati) since the early 20th century have served as the predominant source for investigating the economic, political, and cultural narrative of 17th-century Georgia.

Cristoforo Castelli tried to reconcile the Georgian king and dukes, to bring peace to the country. Everything that Castelli did (even just listing them would take us too far) was positively appreciated by Georgian kings, dukes and nobility, which he honestly told his readers in his letters.

The diplomatic activity of Cristoforo Castelli is very important and interesting, both in order to establish peace between the kings and princes within the country, and in the letters of contacts with the principalities of Italy, from which it can be seen that he himself sends to Italy with the Pope, the Republic of Venice and the sovereigns of the Duchy of Tuscany, he receives in written and oral information through couriers and missionaries from Italy and conveys them with his evaluations and opinions to the recipients in Georgia.

I should end the article on the diplomatic activity of Cristoforo Castelli with the three letters that were published by Bernadete Majorana in 1990 and were completely unknown to Georgian historians until now. The addressee of the last one, written in Georgian in 1654, is Ferdinando Medici, Archduke of Tuscany. In his summary of the letter deposited in the Medici archives, Castelli refers to other letters, suggesting that the last letter may be part of a larger correspondence. We also see an attempt by Castelli to bring the King of Imereti (West Georgia) and the Archduke of Tuscany closer to each other, but this missionary's noble goal was completely unfounded.

Key words: Cristoforo Castelli; Ferdinando; Alexander; Imereti; Tuscany;

ელდარი მამისთვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისპროფესორი,
 საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53,1400,
 +995599117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

აბსტრაქტი. 1654 წელს საქართველოს მოამაგე ხანდაზმულმა და დაავადებულმა კრისტოფორო კასტელმა, 22 წლის შემდეგ დატოვა ეს ქვეყანა და სამშობლო იტალიისკენ გაემურა. მას თან მიჰქონდა რუდუნებით შექმნილი ნამოღვაწარი: წერილები, ეთნოგრაფიული აღწერები, განსაკუთრებით კი ნახატები, რომელიც XX საუკუნის დასაწყისიდან მიქელ თამარაშვილის (Michel Tamarati) მონდომებით XVII საუკუნის საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის უპირველეს წყაროს წარმოადგენს.

კრისტოფორო კასტელი ცდილობდა ერთმანეთთან შეერიგებინა იმერეთის მეფე და მთავრები, ქვეყანაში ყოფილიყო მშვიდობა. ყოველივეს, რასაც კასტელი აკეთებდა (მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი, შორს წაგვიყვანს) ქართველი მეფეები, მთავრები და დიდკაცობა დადებითად აფასებდნენ, რასაც ის გულახდილად მოუთხრობდა მკითხველებს თავის წერილებში.

დიდად მნიშვნელოვანი და საინტერესოა კრისტოფორო კასტელის დიპლომატიური საქმიანობა, როგორც ქვეყნის შიგნით მეფე-მთავრებს შორის მშვიდობის დასამყარებლად, ისე იტალიის სამთავროებთან საკონტაქტო წერილებში, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის თვითონ აგზავნის იტალიაში რომის პაპთან, ვენეციის რესპუბლიკასა და ტოსკანის საჰერცოგოს სუვერენებთან, ის კურიერებისა და მისიონერების შუამავლობით იღებს წერილობით და ზეპირ ინფორმაციას იტალიიდან და გადასცემს ადრესატებს საქართველოში თავის შეფასება-მოსაზრებებით.

კრისტოფორო კასტელის დიპლომატიურ მოღვაწეობაზე სტატია უნდა დავამთავრო იმ სამი წერილით, რომლებიც გამოაქვეყნა ბერნადეტე მაჟორანამ (Bernadete Majorana) 1990 წელს და აქამომდე სრულიად უცნობი იყო ქართველი ისტორიკოსებისათვის. უკანასკნელის, 1654 წელს ქართულად დაწერილის ადრესატია ტოსკანის ერცჰერცოგი ფერდინანდო მედიჩი. კასტელი მედიჩის არქივში ჩაბარებული წერილისთვის გაკეთებულ თავის რეზიუმეში მიუთითებს სხვა წერილებზე, რაც მინიშნებაა, რომ ბოლო წერილი შეიძლება იყვეს უფრო დიდი მიმოწერის ნაწილი. კასტელისგან იმის მცდელობასაც ვხედავთ, რომ ერთმანეთთან დაახლოვოს იმერეთის (დასავლეთ საქართველო) მეფე და ტოსკანის ერცჰერცოგი, მაგრამ მისიონერის ეს კეთილშობილური მიზანი სრულიად უსაფუძვლო იყო.

საკვანძო სიტყვები: კრისტოფორო კასტელი; ფერდინანდო; ალექსანდრე; იმერეთი; ტოსკანა;

მეთოდები. წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები. როგორც დოკუმენტური, ნარატიული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა გვიჩვენებს, კრისტოფორო კასტელმა და ნიკიფორე ირბახმა (ნიკოლოზ ჩილოყაშვილი-ირუბაქიძე) სერიოზული ძალისხმევა გასწიეს სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის ევროპული საგარეო-პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, კონკრეტულად მის დაკავშირებაში კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩთან. კასტელის საშუალებით ხორციელდებოდა წერილობითი ურთიერთობა რომის პაპებთან და იტალიის ზოგიერთ მთავრებთან. კასტელს დასავლეთ საქართველოს მბრძანებლებთან ურთიერთობაში ჩართული ჰყავდა ტოსკანის ჰერცოგო ფრდინანდო II, რომელიც მისიონერების მფარველად გამოდიოდა და ამის გამო ცდილობდა ქართველი მბრძანებლების გარკვეული თხოვნები დაეკმყოფილებინა.

დისკუსია. კასტელმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს ძლიერ ენაწებებოდა მისი გაშვება, მაგრამ საბოლოოდ დათანხმდა და სარეკომენდაციო წერილი დაუწერა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის ფილიპ დე ლა ჰეისთვის წარსადგენად. ისიც უნდა ითქვას, რომ ის წარმატებული დიპლომატი იყო. მან თავი გამოიჩინა ვენეციის წარმომადგენლებთან ერთად ოსმალებთან დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს, რათა მიღწეულიყო კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა კანდიის (კრეტა) და დალმაციის მფლობელობის საკუთხში (Cessi Roberto, 1946: 184). გარდა ამისა, ლა ჰეი მოქმედებდა კაპუცინების კონსტანტინოპოლში შესვლისა და იქ დამკვიდრებისათვის, მით უმეტეს, როდესაც ამ საკითხის საფრანგეთის სასარგებლოდ მოგვარება საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა და მხარს უჭერდა კარდინალი რიშელიე. ფილიპ დე ლა ჰეი კონსტანტინოპოლში გაგზავნეს 1639 წელს და დაავალეს მხარი დაეჭირა იქ მყოფი კაპუცინების და იეზუიტების რელიგიური ორდენებისათვის, ასევე პალესტინის წმინდა ადგილებში ლათინების უფლებების აღდგენისათვის, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი და პაპისგან შექება დაიმსახურა 1642 წლის 9 მარტს (Pastor Ludvig von, 1880: 763-774; Bernadete Majorana, 1990: 74). დასახელებულ საფრანგეთის ელჩზე სხვა დროს უფრო ვრცლად ვილაპარაკებ, რადგან მის რეზიდენციაში დაბინავებულ კრისტოფორო კასტელს წესიერი ადამიანისათვის შეუფერებლად, უღირსად მოექცა და კასტელს სერიოზული ფსიქოლოგიური ტრამვა მიაყენა, მიუხედავად ლევან დადიანის მიერ მისთვის გაგზავნილი კასტელის სარეკომენდაციო წერილისა.

სარეკომენდაციო წერილში ოდიშის მთავარი აქებდა იმ კრისტოფორო კასტელს, რომელმაც მის ქვეყანაში მრავალი სასწაული მოახდინა (ლიჩინი, 2009: 116).

მთავარმა კრისტოფორო კასტელს გაატანა, აგრეთვე, რამდენიმე წერილი იმ დიდებულებისა და სანდო პირებისათვის, რომლებსაც გადასცემდა მაშინ, როდესაც გემი საქართველოს შავი ზღვის ნაპირს მიადგებოდა. დადიანმა კრისტოფოროს პირადად გააცნო გემის თურქი კაპიტანი მუსტაფა რეისი, რომელსაც დაავალა მისი უხიფათოდ ჩაყვანა კონსტანტინოპოლში და ყურადღება მიექცია რათა ის საფრანგეთის საელჩოში უხიფათოდ მისულიყო. ლევან II-მ საფრანგეთის ელჩს ცალკე წერილიც გაუგზავნა, რომელშიც აცნობებდა თავისი სამთავროს მდგომარეობას.

ძალიან საინტერესოა არკანჯელო ლამბერტის მიერ აღწერილი ის მარშრუტი, რომლითაცა ხორციელდებოდა საქართველო-იტალიის კავშირი XVII პირველ ნახევარში. არკანჯელო წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალს სწერს: „თუკი თქვენი პატივცემულება მოისურვებს მოგვწეროს, შეუძლია წერილი გაუგზავნოს კონგრეგაციის მამა წინამძღოლს, რათა მან ისინი (წერილები) გადაუგზავნოს ბაილოს¹ კონსტანტინოპოლში, ხოლო ეს უკანასკნელი გამოუგზავნის [ოდშის] მთავარს და ასეთი ხერხით ძალიან ხშირად შეგატყობინებთ ჩვენს შესახებ“ (არქანჯელო ლამბერტი, 2015: 41).

როგორც კრისტოფორო კასტელი აღნიშნავდა, ქართლსა და სამეგრელოში ყოფნის დროს მას მუდმივი მიმოწერა ჰქონდა საფრანგეთის ელჩთან, ფილიპ დე ლა ჰეისთან. მან საქართველოდან გამგზავრების შემდეგაც, გზაში განცდილი საშიშროების შესახებ, მოკლედ მოუთხრო იმავე ელჩს. ლევან დადიანი კასტელისათვის დაწერილ სარეკომენდაციო წერილით არ დაკმაყოფილდა და საფრანგეთის ელჩთან წერილი გაატანა თავის დესპანს, პაგურია ჩოლოხიას, იგივე პოჯური-ეუჩი სოლოკიას (როგორც კასტელი მოიხსენიებდა). მთავრის დესპანი კასტელზე ადრე ჩავიდა კონსტანტინოპოლში და სულთანს საჩუქრები და ყოველწლიური ხარკი მიართვა (არქანჯელო ლამბერტი, 2015: 125).

საფიქრებელია, რომ დადიანის კაცი საფრანგეთის ელჩს პირადად მოინახულებდა, თავისი ბატონის წერილს გადასცემდა, მასთან კასტელის შესახებაც ისაუბრებდა, შეიძლება ისიც მოახსენა, რომ მისიონერი მთავრის დავალებით უნდა სწევოდა ვენეციის რესპუბლიკას და ტოსკანის საჰერცოგოს.

1654 წლის 20 აგვისტოს კრისტოფორო კასტელი კონსტანტინოპოლში გავლით გაემგზავრა სამშობლოში. მას თან მიჰქონდა ნახატები, რომლებზეც ასახული იყო საქართველოს, ირანისა და ოსმალეთის ციხე-სიმაგრეები, შავი ზღვის სანაპირო ზოლის, გზების, წყლის არტერიების გეგმები, სხვადასხვა ხელმწიფეებისა და მმართველების წერილები. ასეთი ბარგით მგზავრობა თურქების სამფლობელოებში დაკავშირებული იყო დიდ საშიშროებასთან. მისი აღმოჩენის შემთხვევაში შეიძლებოდა კასტელი დაეპატიმრებინათ როგორც ჯაშუში (ლიჩინი, 2009: 127).

საფრანგეთის ელჩი ინფორმირებული იყო ჩოლოხია/სოლოკიას მიერ, როდის ჩავიდოდა კრისტოფორო კასტელი კონსტანტინოპოლში და ელოდა კიდეც (ლიჩინი, 2009: 23).

ევროპის პოლიტიკურ წრეებში კრისტოფორო კასტელს იცნობდნენ, როგორც აღმოსავლეთის საქმეებში გამოცდილ დიპლომატს და მზვერავს. მისი ასეთი საქნაიანობის გამო იყო, რომ 1636 წლიდან კასტელი მისიონერობასთან ერთად იყო პაპის მოციქულებრივი ლეგატი ქართლსა და სამეგრელოში. ელჩი მისგან მნიშვნელოვანი ცნობების მიღებას ელოდა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს შესახებ. კასტელს მთელ შავი ზღვის სანაპიროზე იცნობდნენ, როგორც შუამავალს ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთის მთელ რიგ პოლიტიკურ ერთეულებს შორის (ლიჩინი, 2009: 27).

როგორც აღნიშნა, ოსმალეთის ხელისუფლებას შეიძლებოდა კასტელი ჯაშუშად ჩათვალა მისი სტატუსისა და იმ ბარგის გამო, რომელიც მას მიჰქონდა. როგორც ჩანს, მას სერიოზულად ჰქონდა გააზრებული თავისი საჩოთირო მდგომარეობა, ამიტომ იყო, რომ მან ყველაფერი იღონა, რათა დაუყოვნებლივ მოხვედრილიყო საფრანგეთის ელჩისა

¹ ბაილო აღნიშნავდა ვენეციის რესპუბლიკის ელჩის თანამდებობას კონსტანტინოპოლში.

მფარველობაში (ლიჩინი, 2009: 22), რომელსაც თავისი მთავრობისგან ოსმალეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით მინიჭებული ჰქონდა ამგვარი შესაძლებლობა. როდესაც სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის მოქმედებას ვუკვირდები ვრწმუნდები, რომ მთავარს სრულად ესმოდა, რომ შეიძლებოდა მის მფრველობაში მყოფი მისიონერი დიდ უსიამოვნებაში აღმოჩენილიყო, ისიც შეიძლებოდა, რომ სულთნის ბრძანებით მის მიმართაც დაწყებულიყო გამოძიება.

საფრანგეთის როლი და ადგილი კათოლიკური ევროპის საქართველოსთან ურთიერთობაში გაითვალისწინა ცნობილმა იტალიელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ პიეტრო დელა ვალემ. მან საქართველოში გამოსაგზავნი მისიონერებისათვის 1626 წელს შეიმუშავა სპეციალური ინსტრუქცია 12 მუხლად (მამისტვალისშვილი, 2019: 46-47; მამისტვალისშვილი, 2022: 119-124). მისი მეორე მუხლის მიხედვით, კონსტანტინოპოლში ჩასული მისიონერები იქ მყოფი რომელიმე კათოლიკური სახელმწიფოს, კერძოდ, საფრანგეთის ან ვენეციის ელჩის მფარველობაში უნდა ყოფილიყვნენ, რათა დაუბრკოლებლად გადაეკვეთათ ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრები.

კონსტანტინოპოლში მისიონერები საფრანგეთის ელჩს გადასცემდნენ საქართველოდან ჩამოტანილ, რომში გასაგზავნ წერილებს. მას ასევე შეეძლო განსაკუთრებული სიძნელეების გარეშე საზღვაო გზით გადაეგზავნა რომიდან მიღებული წერილები საქართველოში. მთავარი იყო მას სცოდნოდა, სად უნდა გაეგზავნა ესა თუ ის წერილი, ე. ი. საქართველოს რომელ ნავსადგურში და რომელ ნდობით აღჭურვილ პიროვნებას უნდა გადასცემოდა ისინი (ტაბალუა, 187: 124-125).

როგორც ითქვა, ძვირფას სტუმარს კონსტანტინოპოლში ელოდა წინასწარ ინფორმირებული საფრანგეთის ელჩი ფილიპ დე ლა ჰეი (ლიჩინი, 2009: 19). 1655 წლის 18 მარტს კასტელმა კონსტანტინოპოლს მიაღწია და ელჩის სახლში დაბინავდა. მას თან ჰქონდა მრავალი ნაწერები, წერილები და თავისი ხელით შესრულებული ნახატები (ლიჩინი, 2009: 126).

1655 წლის ზაფხულში, როგორც ამჯერად საინტერესო ნახატის ერთ-ერთ წარწერაშია აღნიშნული, კაპიტანმა ანდრეა კარბენარომ ფრანგული გემით ჩაიყვანა კასტელი ვენეციაში, სადაც საფრანგეთის ელჩმა (კასტელი არ გვამცნობს მის სახელს) სტუმარი დიდი პატივით მიიღო თავის რეზიდენციაში. კასტელი შემდეგ ამბობს, რომ საფრანგეთის ელჩს ვენეციაში არ უნდოდა მისიონერების თავის სახლში წაყვანა, მაგრამ იძულებული გახდა, რათა რომის და საფრანგეთის მთავრობის ფარული რისხვა არ დაემსახურებინა. ყველაზე მეტი, რაც მან გააკეთა, ეს იყო ბანკეტი, რომელზედაც მიიწვია მისიონერები. ამასთან ერთად, მან ეს გააკეთა იმისათვის, რომ მას კასტელის სამისიონერო მოღვაწეობაზე არსებული წერილობითი მიმოწერა და ცნობები ხელთ ჰქონდა (ლიჩინი, 2009: 116).

კასტელს, როგორც გაწაფულ დიპლომატს, საფრანგეთის ელჩმა დაავალა მთელი რიგი მოლაპარაკებების გამართვა წმინდა კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან; მასთან საუბარი სურდათ გალატიაში ყველა მაღალი თანამდებობის პირებს; თავისთან იწვევდნენ რაგუზის ელჩი, გერმანიის იმპერატორის რეზიდენტი, ინგლისის ელჩი (ლიჩინი, 2009: 139).

კრისტოფორო კასტელი რომ საქართველოს მეფე მთავრების საგარეო ურთიერთობებს იცნობდა და, შეიძლება, ზოგიერთი ღონისძიების ინიციატორიც იყო, ამის ნათელსაყოფად გავეცნოთ ორიოდე მაგალითს: 1646 წლის მაისში კასტელი იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს

(1639-1660) ეახლა და მოახსენა, რომ ჰქონდა მისთვის გადასაცემად პაპის უწმინდესობის წერილი. მეფემ გააფრთხილა, რომ წერილი საჯაროდ არ გადაეცა, რადგან შეიძლებოდა მისიონერის ვიზიტის დროს დამსწრე ბერძნებს შორის მითქმა-მოთქმა გამოეწვია (ლიჩინი, 2009: 121). კასტელის ამ ნათქვამს ადასტურებს არკანჯელო ლამბერტი (არქანჯელო ლამბერტი დონ, 2015: 15). კასტელმა წერილი მეფეს მოგვიანებით გადასცა, როდესაც მას მარტო პირისპირ შეხვდა. მეფემ გადაწყვიტა, რომ საპასუხო წერილი კასტელს წაელო რომში, მაგრამ, როგორც პ. ა. ლიჩინი წერს, კასტელს რომში გამგზავრებაში ხელი შეუშალა სამეგრელოში მოღვაწე სხვა მისიონერმა, კერძოდ, ჯუზეპე ჯუდიჩემ. მან ისე მოაწყო, რომ კასტელი ვერ წავიდა რომში (ლიჩინი, 2009: 121). მან მხოლოდ 1654 წელს შეძლო იტალიაში გამგზავრება

ნიშანდობლივია: სხვა დროს, როცა არკანჯელო ლამბერტმა პაპის წერილი გადასცა ოდიშის მთავარს, „ის დამპირდა, – ამბობს ლამბერტი, – რომ იტალიაში გააგზავნიდა კაცს თავისი წერილით რათა პაპს პატივი მიაგოს“ (არკანჯელო ლამბერტი დონ, 2015: 40)

კასტელის იმერეთის მეფესთან სტუმრობის თარიღი (1646 წ.), რაზეც იტალიელ მკვლევარი პ. ა. ლიჩინი ლაპარაკობს, დასაზუსტებელია. ამ დროს (1646 წ.) არ შეიძლებოდა პატრი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი საქართველოში ყოფილიყო. ცნობილია, რომ ის 1643 წელს ლევან დადიანის დავალებით რომში გაემგზავრა. როდესაც საქართველოში ბრუნდებოდა ოსმალეთში შეიპყრეს და იქვე საპყრობილეში გარდაიცვალა 1646 წელს (თამამრაშვილი, 1902: 193-194)

დავუბრუნდეთ კასტელის მიერ ალექსანდრე მეფისათვის რომის პაპის წერილის გადაცემის საკითხს. კასტელს, რომ მთელი 22 წლის განმავლობაში (1632-1654) საქართველო არ დაუტოვებია, ეს უცილობელი ფაქტია. საფიქრებელია, რომ კასტელს კურიერებისა და სხვა მისიონერების საშუალებით კავშირი ჰქონდა პაპის კურიასთან და წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან, იტალიის სხვადასხვა ქალაქებში ნათესავებთან, კოლეგებთან და მეგობრებთან. კურიერებს და მისიონერებს მიჰქონდათ და მოჰქონდათ წერილები და ზეპირი ინფორმაცია.

1651 წელი ალექსანდრე III-ისათვის კიდევ ერთი უცხოური კონტაქტით აღინიშნა. ტოსკანის ერცჰერცოგმა ფერდინანდო II-მ (1621-1670), რომელიც თეატინელ ბერებს მფარველობდა, ალექსანდრე მეფესა და ლევან დადიანს წერილები გამოუგზავნა (ლიჩინი, 2009: 35), რომლებშიც მათ მისიონერების მფარველობას და ხელშეწყობას სთხოვდა. ლევან დადიანისა არ ვიცით, მაგრამ იმერეთის მეფემ, რომ ნამდვილად უპასუხა ფერდინანდო II-ს, ამას ვიგებთ კასტელის ნათქვამიდან, რომ ის ალექსანდრე მეფის დავალებით ერცჰერცოგს ეწვია ფლორენციაში 1654 წელს (იხ. დანართი). პ. ა. ლიჩინის ეს მოსაზრება საინტერესოა, იმდენად რამდენადაც ერცჰერცოგის ინიციატივა ყოფილა იმერეთის მეფესთან და სამეგრელოს მთავართან დაკავშირება. ლიჩინის მოსაზრება და მისი ნაშრომიც შედარებით გვიან გახდა ცნობილი. მანამდე კი მურმან პაპაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ იმერეთის მეფისა და ოდიშის მთავრის მიმოწერა ტოსკანის ერცჰერცოგთან უნდა მომხდარიყო თეატინელი მისიონერების რჩევით (პაპაშვილი, 2005: 86), რაც სწორი აღმოჩნდა.

კრისტოფორო კასტელი, როგორც ჭეშმარიტი დიპლომატი, არაფერს ამბობს რა მისწერა მეფე ალექსანდრე III-მ ტოსკანის ერცჰერცოგს. იმას კი აღნიშნავს, რომ ერცჰერცოგი მისიონერთან სიამოვნებით მსჯელობდა აღმოსავლეთის საკითხებზე. საგულისხმოა, რომ კრისტოფორო „აღმოსავლეთში“, ზოგადად საქართველოს გულისხმობდა და მრავალ საინტერესოს მოუთხრობდა ერცჰერცოგს მის შესახებ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას

ოთხი თვე მოუხდა ყოფნა ფლორენციაში და ის ბევრი რამის თქმას მოასწრებდა ერცჰერცოგისათვის. დღეისათვის არის საშუალება გავეცნოთ მეფე ალექსანდრე III-ის იმ წერილს, რომელიც ფერდინანდომ მიიღო 1654 წელს (იხ. დანართი).

ქართველი მეფისა და ერცჰერცოგის მიმოწერასთან დაკავშირებით საყურადღებო, მაგრამ ნაკლებად დამაჯერებელი აზრი გამოთქვა პ. ა. ლიჩინი. ამ დროს ტოსკანის საჰერცოგოს მოკავშირე ვენეციის რესპუბლიკა ომს აწარმოებდა ოსმალეთთან კუნძულ კრეტისათვის, კერძოდ, მისი მთავარი ქალაქის, კანდიისათვის. ეს ხანგრძლივი ომი (1645-1669) ცნობილია ამ ქალაქის სახელით (კანდიის ომი). ვენეციას ეხმარებოდა ტოსკანის საჰერცოგო, რომელსაც, ბუნებრივია, თავისი ინტერესები ჰქონდა. პ. ა. ლიჩინი წერს: „აღნიშნულის საფუძველზე ერცჰერცოგის მისწრაფება გასაგებია. მას თეატინელი მისიონერების დახმარებით სურდა თავის მხარეს მიემხრო ქართული სამეფოები. ამ ქვეყნებში თეატინელ მამებს იმ დამაბულ პერიოდში თავისუფალი შესვლის საშუალება ჰქონდათ“ (ლიჩინი, 2009: 36). მაგრამ იტალიელი ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმაზე, როგორ წარმოედგინა ქართული მხარის მონაწილეობა დასახელებულ ომში, მაშინ, როდესაც კრისტოფორო ამის შესახებ დუმს; გააჩნდათ ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ დასაღეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები, რომ მხარი დაეჭირათ ერცჰერცოგის ამბიციებისათვის? რას სთვავობდა ერცჰერცოგი ქართველებს დახმარების სანაცვლოდ? როგორი იყო ქართველი პოლიტიკოსების განწყობილება ფერდინანდო II-ის წინადადებაზე? ვერც ერთ დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ მივიღებთ ქვემოთ გამოქვეყნებულ სამი წერილიდან.

უნდა ვივარაუდოთ, რომ პ. ა. ლიჩინი იცნობს სხვა წერილებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ვუპასუხოთ ფრიად მნიშვნელოვან კითხვებს. მაგრამ, სამწუხაროდ ასეთ წერილებზე ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება.

უქველია, კრისტოფორო კასტელმა ყველა იტალიელზე უკეთ იცოდა რისი შემძლე იყო XVII ს. 50-იანი წლების დასავლეთ საქართველო. ლიჩინის აღნიშნული მოსაზრება მით უფრო იწვევს გაკვირვებას, რომ ისტორიკოსს თავის წიგნში ციტირებული აქვს კასტელის წერილი (მისი სათაურია: „ჩვენმა მამებმა სამეგრელოს მეფე დაარწმუნეს, რომ დასდოს ზავი იმერეთის მეფესთან. ის იღებს კეთილ რჩევას და ზავს დებს“), რომელსაც კრისტოფორო კასტელი იწყებს ლევან დადიანის დახასიათებით: „სამეგრელოს ამჟამინდელი ცოცხალი მეფე ლევან დადიანია. ის მიდრეკილია ომებისაკენ, თვითონ არა აქვს მოსვენება და დამშვიდების საშუალებას სხვასაც არ აძლევს. მისი მეზობელი მთავრებისათვის, განსაკუთრებით კი იმერეთის საწყალი მეფისათვის, ეს დიდი უბედურებაა. ყოველთვის არსებობს თავდასხმის ან ბანდიტური ომის საშიშროება, რომლის დროსაც ჩვეულებრივი მოვლენა ყველა ეპისკოპოსის, პატრიარქის, სასულიერო პირის, ზოგჯერ ჩვენი მამების თან წაყვანა. მაგრამ მან ვერასოდეს შეძლო ჩემი გაყოლა. მთავარს ყოველთვის ვევედრებოდი, ბოლო მოელო ომებისათვის და წყნარ ცხოვრებაში დამტკბარიყო იმით, რაც მას უფალმა საკმარისად მისცა, რათა ამ ქვეყნად მშვიდად ეცხოვრა... მეფედ კურთხევისათვის მას მხოლოდ ერთი რამ აკლდა: როგორც საკუთარი თავისათვის, ისე იმ მთავრებისა და მეფეებისათვის ზავი ებოძებინა, ყველა დაესვენებინა და სიკვდილამდე მშვიდად ეცხოვრა. მიახლოვებოდა შემოქმედის სულს და ჩემთვის დესპანობა ეთხოვა“ – წერდა კრისტოფორო (ლიჩინი, 2009: 64-65). მაგრამ კრისტოფორომ წარმატებას ვერ მიაღწია. მან ვერ შეძლო სამეგრელოს მთავრისა და იმერეთის მეფის შერიგება. ქართულ ისტორიოგრაფიაში

სათანადოდაა შესწავლილი სამეგრელოს მთავრის იმერეთის მეფეებთან დაპირისპირებისა და მის მიერ მეფის სამფლობელოებისათვის მიყენებული ზიანი. მოგვიანებით კასტელი სამეგრელოდან გამგზავრების შემდეგ სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ შეიტყო მთავარსა და მეფეს შორი მშვიდობის დამყარების შესახებ, (ლიჩინი, 2009: 66).

კრისტოფორო კასტელი მართლა წერდა თავის მცდელობაზე მეფისა და მთავრის შერიგების შესახებ და ის შეგნებულად აზვიადებდა თავის, როგორც მომრიგებლის როლს და ამით სურდა ერცჰერცოგი დაერწმუნებინა ქართველების მოკავშირეებად გამოყენების შესაძლებლობაში, რითაც იგი შეცდომაში შეჰყავდა.

საფიქრებელია, კასტელს მართლაც ჰქონდა განზრახული კონსოლიდირებული დასავლეთი საქართველო დაეკავშირებინა სიცილია-ტოსკანის კოალიციისათვის. შესაძლებელია ამგვარი გეგმის ინიციატორი საფრანგეთის მთავრობის დავალებით იყო ელჩი ფილიპ დე ლა ჰეი, რომელმაც კარგად იცოდა დასავლეთ საქართველოში კასტელის გადადგმული ყოველი პოლიტიკური ხასიათის ნაბიჯი ამ სახელგანთქმული მისიონერის წერილების საშუალებით, რომლებსაც მას რეგულარულად უგზავნიდა. ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ ვიდრე კასტელი საფრანგეთის ელჩთან სტუმრობდა, ეს უკანასკნელი თავის სასახლეში პატიჟობდა ხოლმე გურიისა და სამეგრელოს მთავრებისა და იმერეთის მეფის ელჩებს მაშინ, როდესაც ისინი ისინი სულთანთან ჩადიოდნენ კონსტანტინოპოლში დიდი საჩუქრებით (ლიჩინი, 2009: 135). ასეთ დროს ისინი იკრიბებოდნენ საფრანგეთის ელჩის ბინაზე და იხილავდნენ სულთნისათვის არასასიამოვნო საკითხებს.

ქართველი ელჩების საფრანგეთის ელჩთან სტუმრობას კასტელმა ნახატი მიუძღვნა და მასზე გაკეთებულ მინაწერებში იგი ამბობს: „ბატონმა (საფრანგეთის – ე.მ.) ელჩმა წარმოთქვა მისი (საფრანგეთის მეფის – ე.მ.) და დედოფლის სადღეგრძელო. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს ელჩი ფეხზე იდგა, ქუდმოხდილი, ფრანგ თავადებს შორის სუფრასთან. ელჩის შვილი მამის მსგავსად ასევე სვამდა საფრანგეთის მეფის, პოლონეთის მეფის, იმპერატორის და მისი უწმინდესობის (რომის პაპის) სადღეგრძელოებს“. ამონარიდში კარგად ჩანს, კასტელს განზრახული აქვს შექმნას სურათი ან სურათები დასახელებულ ორ თემაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ მონიშნული მეორე სადღეგრძელო მინახებებს შესთავაზეს ელჩმა და მისმა შვილმა, როდესაც დასახელებული ქვეყნების 10 ელჩი და ქართველი ელჩი ერთად ილხენდნენ ელჩის სახლში და, სწორედ ეს მომენტი ასახა კასტელმა ერთ-ერთ თავის ნახატზე, რომელის სახელწოდება არის „საფრანგეთის, პოლონეთისა და საქართველოს ელჩთა ბანკეტი კონსტანტინოპოლში 1657 წელს“ (კრისტოფორო, 1976: ნახატი 106).

სავარაუდოა, კრისტოფორო კასტელი პირადად იცნობდა კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართველ ელჩებს და მათთან შეხვედრა და პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი დიდი სიამოვნებას ანიჭებდა. იმავე დროს დარწმუნებული იყო, რომ სასარგებლო საქმეს აკეთებდა.

ვენეციიდან კასტელი გაემგზავრა ფლორენციასა და რომში. როგორც კასტელი წერდა, ის ფლორენციის ერცჰერცოგთან იმერეთის მეფის ელჩის სახით იყო გაგზავნილი; მეფე ფლორენციის ერცჰერცოგს მეგობრობას სთავაზობდა და ითხოვდა წამლებს თავისი ავდემყოფობით გატანჯული მეუღლისათვის – დედოფლისათვის.² ფლორენციის ერცჰერცოგმა ელჩი, კასტელი სიამოვნებით მიიღო. მისთვის საამო იყო ამ ქვეყნებს შორის

² ალექსანდრე III ორჯერ იყო ნაქორწინები: პირველად მამია გურიელის ასულზე, თამარზე, მეორედ თეიმურაზ I-ს ასულზე, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივზე, დარეჯანზე.

ურთიერთობის დამყარების მოსმენა იმ პიროვნებისაგან, რომელმაც ერცჰერცოგს სახელი გაუთქვა აღმოსავლეთის მთავრებს შორის (ლიჩინი, 2009: 146).

სრულიად განსხვავებული იყო საფრანგეთის მეფის მასპინძლობა. ელჩის სახლში სხვა მრავალი სტუმრებიც იყრიდნენ თავს და მიმდინარეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა. ისინი დიდი ინტერესით უსმენდნენ კასტელს, რომელიც ყვებოდა მათთვის უცნობ აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. კასტელი იმავე მასპინძლის სახლში ცდილობს მოგზაურობის დროს ზღვაში დაკარგული და დაზიანებული ზოგიერთი ნაწერებისა და ნახატების აღდგენას. ის „ახალ მეგობრებს“, რომლებიც მისი სამუშაო მაგიდის გარშემო ირეოდნენ, უჩვენებდა თავის ნახატებს. ელჩი ყოველ დღე რამდენიმე ლამაზ ნახატს პარავდა: ხან ლევან დადიანის, ხან მეფე ალექსანდრეს, დედოფლის პორტრეტებს, ხან საბრძოლო სცენებს, ხან თეატინელთა რეზიდენციების სურათებს. კონსტანტინოპოლში ყოფნის სამი თვის განმავლობაში კრისტოფორო იძულებული იყო ყველაზე მკვირვასი ნახატების ტირაჟირება მოეხდინა, „რათა ისინი არ დაკარგოდა მეგვიდრეობას და მეხსიერებას“ (Bernadete Majorana, 1990: 137).

კასტელის თავისი დიპლომატიური მისია უნდა დაემთავრებინა რომში იმით რომ პაპისათვის წარედგინა ანგარიში თავის მისიონერული საქმიანობის შესახებ და გადაეცა აღმოსავლეთის (საქართველოს) მეფეებისა და მთავრების წერილები.

დანართი

საქართველოს მთავრებისა და ტოსკანის ერცჰერცოგის სამი გამოუქვეყნებელი წერილი (1649-1654 წწ.)

წერილები გამოაქვეყნა ბერგამოს უნივერსიტეტის დოცენტმა ბერნადეტე მაჟორანამ. წერილების დედნები დაცულია ფლოენციაში მედიჩის სამთავროს არქივში. პუბლიკაციას დართული აქვს იმავე უნივერსიტეტის პროფესორის, კრისტოფორო კასტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობილი მკვლევრის პატრიცია ანა ლიჩინის მიერ დასახელებულ წერილებთან დაკავშირებით სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებანი. პ. ა. ლიჩინმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა კრისტოფორო კასტელს (იხ. ამ სტატიის ბიბლიოგრაფია), რომლებშიც აისახა 1632-1654 წლებში კასტელის თვალთ დასახული საქართველო.

ბერნადეტე მაჟორანამ წერილები კომენტარებით გამოაქვეყნა თავისი ნაშრომის მესამე „დანართში“ (Bernadete Majorana, 1990: 134-137).

იმისათვის რათა ქართველი მკვლევარებისათვის გამეიოლებინა წერილების მონახვა ფლორენციის მედიჩის არქივში, სადაც აუცილებლად კიდევ იქნება კრისტოფორო კასტელის საქართველოში ყოფნისა და მის მიმწოდურის ამსახველი სხვა მასალებიც, ბერნადეტე მაჟორანას მიერ შესრულებული მესამე დანართი მომაქვს მთლიანად ზოგიერთი ჩემი შენიშვნებითა და დამატებებით.

1655 წლის შემდეგ³ პალერმოში დაბრუნებულმა კრისტოფორო კასტელმა შეძლებისდაგვარად მოაწესრიგა ზღვაში დაკარგული და დაზიანებული წერილების და ნახატების ერთი ნაწილი და სხვათა შორის, ნუსხაში, ჩაწერა, რომ ფლობს „ტოსკანის ერცჰერცოგის წერილებს, რომლებითაც ის რეკომენდაციას უწევს მამებს (თეატინელი მისიონერებს) უდისის (ოდისის, ოდისი სხვაგვარად იწოდება მეგრელია) მთავრის და საქართველოს [იმერეთის-ე.მ.] მეფის წინაშე. 1651 წლის 14 აპრილი“; მას თან ჰქონდა „საქართველოს მეფის წერილი ტოსკანის ერცჰერცოგისადმი, სადაც წერს იმ დიდ გაჭირვებასა და წამებაზე, რომელიც მამა კრისტოფორომ მრავალი წლის განმავლობაში სულგრძელად გადაიტანა ჩვენი უფლის, ქრისტეს წმიდა სარწმუნოების გასავრცელებლად; როგორ მისცა მას [იმერეთის მეფემ-ე.მ.] ცნობილი ეკლესია ქალაქ კუტატისში (ქუთაისი), ოცი ჰოსპიტით [მოსახლით-ე.მ.] თავის სამეფო მამულში, რათა მუდამ მასთან ვყოფილიყავი. 1654 წლის 24 თებერვალი“ (Licini, 1985: 206-214). ამ უკანასკნელი წერილის ჩატანამ მისცა საფუძველი კასტელის დარჩენილიყო ფლორენციაში 1655 წელს თითქმის ოთხი თვე: კასტელმა თავის მოხსენების – „ჩვენი ისტორიის მოკლე მიმოხილვისათვის“ – დართულ წინასიტყვაობაში, ეს ეპიზოდი შემდეგნაირად გადმოსცა: „საქართველოს მეფე ძალიან ვრცელი წერილით ამ ერცჰერცოგთან ვენეციაში და შემდეგ საფრანგეთში⁴ ჩემი გაგზავნისას, ითხოვდა [ერცჰერცოგის-ე.მ.] სიყვარულს, სხვადასხვა წამლებს და წითელი მიწიდან გამოჟონილი ოქროს გასუფთავების მეთოდს. [მეფეს-ე.მ.] მაღარო აქვს თავის ქვეყანაში, მაგრამ არ ჰყავს ისეთი მაღაროელები, რომლებმაც იციან [ოქროს-ე.მ.] იოლად მოპოვება წმინდა სახით“ (Licini, 1983: 37). გარდა ამისა, აღსანიშნავია ამ წერილების შემდგომი მითითებები კასტელის ფონდშიც; 3QქE92 ტომში მონიშნულ ფურცელ 42r-ზე წერია: „ქვემოთ მოტანილია (ნახატები) ექვსი სტუმარო⁵ [მისიონერის-ე.მ.] ოცი მოსახლის, რომელებიც საქართველოს მეფემ მისცა თავისი სამეფოს სხვადასხვა ადგილებში, რაც დასტურდება მის მიერ ერცერცოგისადმი, კარდინალ ანტონიო ბარბერინოსა და წმინდა რომის პაპ ურბანოსადმი გაგზავნილი წერილებით. ისინი ორიგინალებია აღმოსავლელი მთავრების წერილების წიგნში...“ (Bernadete Majorana, 1990: 134).

კასტელი ფლორენციის ერცჰერცოგ ფერდინანდო მეორესთან ფლორენციაში ჩასვლის და ოთხი თვის განმავლობაში ყოფნას, იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამის მიერ ელჩად გაგზავნით ხსნის. მეფეს უნდოდა ფერდინანდოსთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება და წამლების მიღება თავის მეუღლისათვის. საქართველოდან ჩამოსული ელჩი ერცჰერცოგმა სიამოვნებით მიიღო. მისთვისაც საამაყო იყო დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულებთან

³ საუბარია მოკლე წერილზე, რომელიც კასტელმა დაწერა გემების დაღუპვის შემდგომ ზაფხულში. (დამოწმებულია: Licini, 1985: 206-214).

⁴ იტალიურ ტექსტში არის: `Dell'imbarco per Venetia e poi per Franza a quel gran duca...` Franza, რა თქმა უნდა, საფრანგეთია, რაც კონტექსტში ვერ ჯდება. უნდა იყოს Firenze – ფლორენცია, ერცჰერცოგის სარეზიდენციო ქალაქი, ტოსკანის ცენტრი.

⁵ წითელი მიწა გავრცელებულია ტენიანი სუბტროპიკული ზონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (აჭარა, გურია, ზემო იმერეთი), აგრეთვე გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთშიც (ურუშაძე, 2014: 32-37).

⁶ კასტელი გულისხმობს დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ თეატინელთა მონასტრებიდან წამოყვანილ ექვს მოძღვარს: პატრი იერონიმე კარაფას, პატრი ქრისტოფორო დე კასტელის, პატრი ჯუსტოს პრატოს, პატრი ანტონიო ჯარდინას, პატრი სერაფინო ფილენჯიეროს, პატრი ვინჩენცო კარაფას, ორ მორჩილი ძმას – გაიტანო კორლიტოს და მატეო ფლორინოს.

მეგობრული ურთიერთობის დამყარება. მედიჩისათვის დიდად სასიამოვნო იყო ამის მოსმენა კრისტოფორო კასტელისაგან, რომელმაც მას სახელი გაუთქვა აღმოსავლეთის მთავრებს შორის (ლიჩინი, 2009: 146).

იტალიაში დაბრუნებულ კასტელს განსაკუთრებით უმასპინძლა ერცჰერცოგმა, მან თავისთან სამუდამო დარჩენა შესთავაზა. მაგრამ უარი მიიღო იმის გამო, რომ კასტელს რომში უნდა ენახა პაპი, რომლის ელჩად იყო საქართველოში, მისთვის ანგარიში უნდა წარედგინა და საქართველოს მეფეებისა და მთავრების წერილები გადაეცა. მათ კასტელს თავიანთი ელჩობა დააკისრეს პაპთან (ლიჩინი, 2009: 147).

ეს არის შემდეგი დოკუმენტები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

a) ASF, სამთავროს მედიჩის არქივი: უნივერსალური მიმოწერა, ფ. 1010, დოკ. 346.

ქალაქი ჰვირნიშნით. ოდიშის მთავრის ლევან დადიანის წერილი ტოსკანის ერცჰერცოგს ფერდინანდო II-ს, დათარიღებული 1649 წლის 3 მაისით: დაწერილია საქართველოში იტალიური კურსივით (ქართულ ენაზე მხოლოდ პრინცის ხელმოწერა: <ლევან>), შესაძლოა, დაწერილია თეატინელი მისიონერის დონ არკანჯელოს მიერ. თავად ლამბერტი საქართველოში იმყოფებოდა 1649 წლის 18 ოქტომბრამდე და გაემგზავრა იტალიაში, რომელმაც შექმნილი ვითარების გამო წერილი ჩააბარა საჰერცოგოს კანცელარიას ფლორენციიდან გამგზავრებისას.

წერილის წარწერა: <ტოსკანის უგანათლებულესი დიდებული ერცჰერცოგი>. იქვე ქვედა მარცხენა მხარეს არის მდივნის შენიშვნა: <ტოსკანის უგანათლებულეს ერცჰერცოგს>.

უგანათლებულესო ხელმოწევა

ვინაიდან მისი ყველაზე უგანათლებულესი სახლის დიდებულების დიდებამ შემოაღწია ჩვენს ამ მხარეებში,⁷ რომელთა შორის ჯერ კიდევ ითვლებიან მის ჩრდილში დაცული ყველა პროფესიის ისეთი სათნო ადამიანები, რომლებიც თავიანთი ვაჟკაცობით აკეთებენ იმდენად დახვეწილ საქმეებს, რომლებითაც სხვა მთავარი ვერ იამაყებს. ასეთი [ადამიანი-ე.მ.] შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებით სამკურნალო საშუალებების საკითხში. ჩემ უფროს ვაჟს ისეთი ავადმყოფობა შეეყარა, რომ მიუხედავად დიდი შრომისმოყვარეობისა, რომელიც აქამდე გასწია [კასტელმა-ე.მ.], ვერ შეძლო განკურნება. საუკეთესოდ ჩავთვალე, შემექო მისი [სულიერი] მამა დონ არკანჯელო ლამბერტი, თეატინელი მამა, რომელიც ცხოვრობს ამ მხარეში თექვსმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ჩემთან ახლოს, რომელიც სიტყვიერად აუხსნის ჩემს სათხოვარს თქვენს უგანათლებულესობას,⁸ თქვენი სიკეთით დახმარების

⁷ ლევან დადიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს რომის პაპის მიერ გამოგზავნილი თეატინელი მისიონერების ჩასვლა ოდიშის სამთავროში, რომლებისგანაც შეიტყო ბევრი რამ ტოსკანის ერცჰერცოგის შესახებ.

⁸ დასაწინაა, რომ არ ვიცით ის რაც ლევანმა ქალაქს არ მიანდო და არკანჯელო ლამბერტიმ ზეპირად მოახსენა ფერდინანდო II-ს. როგორც წესი, ზეპირად დანაბარები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაცია იყო..

იმედით,⁹ ჩემს მხრივ, ვთავაზობ თქვენს უგანათლებულესობას, რომ მზად ვარ ყოველი მინიშნიშნებისთვის. ოდიშიდან, 1649 წლის 3 მაისს.

თქვენ უგანათლებლობას

თქვენი უერთგულესი მსახური, ლევანი (Bernadete Majorana, 1990: 135)

Serenissimo Signore

Essendo sini queste nostre parti penetrate la fama della grandezza della sua Serenissima casa, tra le quali si numerano ancora il trattenere sotto la sua ombra persone così virtuoso in ogni mestiere, che con il loro valore facciano opere si esquisite, che appresso niun altro principe si possono somiglianti ritrovare, particolarmente in materia di rimedij. Per tanto ritrovandosi il mio primogenito cascato in una infirmità tale, che per molta diligenza che sia usata sin hora non ne ha potuto uscire, mi è parso bene comettere al padre don Arcangelo Lamberti, padre teatino, che più sedici anni ha risieduto in questo parti appresso di me, che a bocca spieghi a Vostra Serenità il mio bisogno, sperando dalla sua benignità qualche soccorso; offerendomi dall'altro canto alla Serenità Vostra prontissimo ad ogni suo cenno.

Di Odisce il 3 maggio 1649.

a Vostra Alteza Serenissima

Affezionatissimo servo Levan.

* * *

წერილიდან ცალკე უნდა გამოვეყო ლევან დადიანის შვილების და მათი ჯანმრთელობის საკითხი, რადგან ოდიშის მთავრის მიერ ერცჰერცოგ ფერდინანდო II-სთვის წერილის გაგზავნის მთავარი მოტივი შვილის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. წერილობითი ცნობები მათ შესახებ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულია. ვფიქრობ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კასტელის ნაამბობს.

კრისტოფორო კასტელის მიხედვით, ლევან II დადიანს მეორე ცოლთან (მისი პირველი ცოლი იყო თამუნია შერვაშიძე, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი. (ისინი დადიანმა მეორე ცოლის ჩაგონებით დაახოცინა). დარეჯან ჭილაძესთან ეყოლა ოთხი შვილი – ორი ვაჟი და ორი ასული. ვაჟებს ალექსანდრე და მანუჩარი, ხოლო ქალიშვილებს გული და ცირა ერქვა (კრისტოფორო, 1976: 35). დადიანის ასულების სულ სხვა სახელებს ვნახულობთ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში: „კურთხეულს დადიანის ასულსა ბატოს (!) ხუარამზეს გობდისა თანამეცხედრესა აღაპი...“ „ბატონის დადიანის ასულსა დარეჯანს და დედასა მისსა გამდელსა თინათინს აღაპი...“ დებისთვის აღაპები განუწესებია ჯვარისმამა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (ნიკიფორე ირბახი) (მეტრეველი, 1962: 102, №253; 106, №292; მამისთვალშიშვილი ე. 2016: 268). ალბათ, ხუარამზე და დარეჯანი მათი ნათლობის სახელები იყო, ჩვეულებრივ კი, გულსა და ცირას ეძახდნენ. ხუარამზე უნდა იყოს ლევან დადიანის ის ქალიშვილი, რომელსაც კასტელი ზელიმხანად მოიხსენიებს და

⁹ არკანჯელო ლამბერტი `წმინდა კოლხეთში` საერთოდ არ ახსენებს თავის ყოფნას ფლორენციაში, რადგან ასეთი ვიზიტის გასაჯაროება, ერცჰერცოგისა და რომის ინტერესებში არ იყო.

რომელიც, მისივე თქმით იმერეთის უფლისწულ ბაგრატს მიათხოვეს (ლიჩინი, 2009: 66), ხოლო არკანჯელო ერთ-ერთ ქალიშვილს გულბუტახის ეძახის (არკანჯელო ლამბერტი, 2015: 40).

არკანჯელო ლამბერტი ამბობს, რომ ლევან დადიანს, „სამი შვილი ჰყავს, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი; სწორედ ახლა დედოფალი მშობიარეა და, მიუხედავად ფეხმძიმეობისა, მუდმივად ცხენით დადის“ (არქანჯელო ლამბერტი, 2015: 40), ამ ფეხმძიმეობის შედეგად შეეძინა მეორე ვაჟი – მანუჩარი.

დღეისათვის არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით მთლად გარკვეული არ არის, როგორი იყო ლევან დადიანის შვილების ცხოვრება. როგორც ტოსკანის ერცჰერცოგისათვის გაგზავნილი მის წერილიდან ჩანს სამეგრელოს მთავარი შეწუხებულია თავისი უფროსი ვაჟის, ალექსანდრეს ჯანმრთელობის მდგომარეობით. ის სხვა შვილებზე არაფერს ამბობს, მაშინ, როდესაც არკანჯელო ლამბერტის მიხედვით, ლევან დადიანს ოთხი წლის დამბლადაცემული გოგონა ჰყავდა, რომელიც ლოგინად იყო ჩავარდნილი და ფეხზე ვერ დგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი განკურნება შეუძლებელი იყო, პატრებმა, ლევანის დაჟინებული თხოვნით, მისი მკურნალობა დაიწყეს, გოგონა გამოჯანმრთელებისკენ წავიდა, მაგრამ იტალიელ მკურნალთა კონკურენტების ჩარევამ ბავშვის სიკვდილი გამოიწვია (არკანჯელო ლამბერტი, 2022: 257, 267). არკანჯელო ლევან დადიანის ქალიშვილის ავადმყოფობას მცირე განსხვავებით მოუთხოვრებს წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს ერთ-ერთ კარდინალს თავის რელაციაში (არქანჯელო ლამბერტი, 2015: 31, 35) მის ავადმყოფობაზე ლაპარაკობს საკმაოდ ვრცლად ჯუზეპე ჯუდიჩე მილნელიც. თავის „რელაციონში“ (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, 2014: 32-34).

1638 წლის 15 ნოემბერს ლევან დადიანის მღვდელმა გაბრიელ გეგენავამ მოსკოვში ელჩობის დროს განაცხადა, რომ მოცემული პერიოდისთვის სამეგრელოს მთავარს, დადიანს ჰყავდა ოთხი შვილი — ალექსანდრე 13 წლის, მანუჩარი 6 წლის, პირველი ქალიშვილი ალექსანდრეზე უფროსი იყო ასაკით და უმცროსი ქალიშვილი 11 წლის. მან ქალიშვილების სახელები არ იცოდა (Полиевктов, 1937: 150). ის არც ერთი მათგანის ავადმყოფობაზე არ ლაპარაკობს.

ერთ-ერთი რუსული წყაროს მიხედვით, დადიანის შვილები სერიოზულად ავადმყოფობდნენ. 1656 წელს, როგორც ამის შესახებ, საქართველოში ნამყოფი ილია სტოიანოვი მოსკოვში დაბრუნების შემდეგ (1657 წ.) ამბობდა: „ლევან დადიანს ჰყავდა ორი ვაჟი, ორივე ავადმყოფი, რომლებსაც პარალიზებული ჰქონდათ, ხელები, ფეხები და მეტყველების უნარი (დაკარგული-ე.მ.), თვით მეფესაც (ლევან II-ე.მ.) მოტეხილი აქვს კისერი მარცხენა მხარეს“ (პაიჭაძე, 1965: 453). ალბათ, რადგან მანუჩარი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ამიტომ ლევანს თავის მემკვიდრედ ის ეგულებოდა. ეს მანუჩარი უნდა ყოფილიყო სამეგრელოდან გაგზავნილი იმ 2 ათასინი ჯარის მეთაური, რომელიც გონიოს დაამცველთა დასახმარებლად მივიდა, როცა მას კაზაკები დაესხნენ 1647 წელს (ევლია ჩელები, 1973: 327). გამოდის, რომ მანუჩარი 40-იან წლების გარკვეულ პერიოდში მაინც თავს უკეთესად გრძნობდა, რადგან ის კაზაკებთან საბრძოლველად გაუშვა ლევან დადიანმა.

სამთავროს ტახტის მემკვიდრე – მანუჩარი და ლევან დადიანი გარდაიცვალნენ 1657 წელს.

* * *

b) ASF, სამთავროს მედიჩის არქივი: წერილების პროექტები და ნუსხები, F. 149... (ქალაქი მოცულობითია, ჭვირნიშანი არა აქვს).

ტოსკანის ერცჰერცოგის ფერდინანდო II-ის წერილის პროექტი სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანს, დათარიღებული 1651 წლის 11 აპრილით; წარმოადგენს 1649 წლის 3 მაისის ლევან დადიანის წერილის პასუხს.

სამეგრელოს მთავარ დადიანს. 1651 წლის 11 აპრილი

თავის დროზე დიდი სიამოვნებით მივიღე ძალიან თავაზიანი წერილი, რომლითაც თქვენს უდიდებულესობას სურდა ჩემი კეთილგანწყობა ერთ-ერთი თეატინელი მამისადმი [კასტელისადმი-ე.მ.]; მას შემდეგ რაც გავიგე თქვენი სურვილი ამ ჩემი სამსხმელოს¹⁰ ზოგიერთი წამლის მიმართ, რომელიც პროპორციულია ხელების სისუტისაკენ მიდრეკილებისათვის, მაშინვე ვუბრძანე, რომ ზემოხსენებული მამა [კასტელი-ე.მ] თქვენ უმაღლესობას ემსახუროს. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ [წამლით-ე.მ] სარგებლობის აუცილებლობა აქვს მთავრის ვაჟს. ვუსურვებ თქვენს უმაღლესობებს ჯანმრთელობას და ყოველგვარ დიდ ბედნიერებას მრავალი წლის განმავლობაში. გულით მიხარია, როცა ვიგებ თქვენი უდიდებულესობის იარაღის გამარჯვებებს და, შესაბამისად, თქვენი სახელის დიდებულ უწყვეტ წინსვლას. რადგან თეატინელ მამებს საშუალება აქვთ, რომ კეთილი სამსახური გაუწიონ თქვენს უდიდებულესობას. არ უნდა უგულვებელყო ის შესაძლებლობა, რომელიც თქვენმა უდიდებულესობამ სიამოვნებით მომანიჭა, რათა სათანადოდ გთხოვოთ თქვენი მაღლი [პატრების-ე.მ] საკეთილდღეოდ და პატივისთვის. ამ მხრივ, შემოძლია თქვენს უდიდებულესობას სრულად დავუდასტურო მათი სიკეთე და ღვაწლი, როგორც რელიგიისათვის სანიმუშონი და ჭეშმარიტი სარწმუნოების მსახურები და ასევე ქრისტიანული ეკლესიის პონტიფიკს, მამას და საყოველთაო მეთაურს. ამ შუამავლობას შეიძლება დაუმატო ჩემი ყველაზე გულწრფელი გამოვლინებები განსაკუთრებული მზადყოფნის შესახებ, რომ ვემსახურო თქვენს უმაღლესობას თუნდაც (.....)

(შემდეგ საკანცელარიო შენიშვნა, შემოკლებით) (Bernadete Majorana, 1990: 135).

Al Principe di Mengrelia Dadian. 11 aprile 1651

Ho con grande mio gusto ricevuto in suo tempo la cortesissima lettera, della quale ha Vostra Altezza voluto favorirmi per mezzo di uno de' padri teatini; et havendo per essa inteso il desiderio suo di alcuno de remedij di questa mia fonderla, proporzionati a debilitazione, et attrazione di mani, ho subito comandato che per compagno del sudetto padre ne sia l'Altezza Vostra servita. Ben mi incresco perche il bisogno di valersene cade in persona dello principe suo foglio, et auguro alle Altezze Vostre

¹⁰ ტერმინი „სამსხმელო“ აქ გამოიყენება იმ ადგილის მნიშვნელობით, სადაც ხდება სამკურნალო ლიქიორებისა და ესენციების გამოხდა, რთული სამკურნალო საშუალებების მომზადება. ამას იმიტომ უწოდებენ „სამსხმელოს“, რომ იქ გარკვეული ლითონების ჩამოსხმაც ხდებოდა. Vocabolario Degli Academy Della Crusca, 1889, 281

salute et per altro lungo corso di anni ogni maggiore felicità. Di cuore mi rallegro di quello che io sento incontra Vostra Altezza nelle segnalate vittorie delle sue armi et conseguentemente nell'avanzamento continuo della gloria del suo nome. Et perche col supporto del buon servitio che habbian campo di rendere all'Altezza Vostra I padri teatini, ancora non debbo trascurate l'opportunita che si è compiaciuta Vostra Altezza darmi di pregarla convenientemente delle sue gratie in beneficio et onore di essi. Posso in ordine a cio con ogni pienezza attestare a Vostra Altezza la bontà et il merito loro come di esemplari religiosi et ministri della vera fede, et col pontefice padre et capo universale della Chiesa cristiana. Vanno con questo offitio espressamente congiunte le piu sincere mie esibizioni di una special prontezza di servire all'Altezza Vostra anche in la (.....)

(segue nota di cancellaria, in sigle). (Bernadete Majorana, 1990: 135).

c) ASP, სამთავროს მედიჩის არქივი: f. 4280, ins. I, doc. 4.

ქალაქი ზომა მმ. 495x176 ჭვირნიშნის გარეშე.

საქართველოს მეფის ალექსანდრე III ბაგრატიონის წერილი ტოსკანის ერცჰერცოგს ფერდინანდო II-ს, უთარილო.

ეს წერილი, როგორც მისივე შინაარსიდან ჩანს ფერდინანდო II-ს გადასცა კრისტოფორო კასტელმა: მასში ალექსანდრე ბაგრატიონი ახსენებს მისიონერს და მოიხსენიებს მას, როგორც წერილის მიმტანს. შინაარსი განსხვავდება კასტელის მიერ მოხსენებულ იმ წერილთან (ან წერილებთან) შედარებით, რომელიც საქართველოს მეფემ თეატინელი მამის მეშვეობით გაუგზავნა დიდებულ ერცჰერცოგს; ფაქტობრივად, არ არის ნახსენები არც ერთი ელემენტი, რომელსაც კასტელი იხსენიებს იმერეთის რეგიონში, სადაც ალექსანდრე III ცხოვრობდა, არც ოქროს მოპოვების სისტემების შესახებ. მხოლოდ, მეფემ აშკარად სთხოვა ფერდინანდო II-ს მედიკამენტები. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავუშვათ, რომ კასტელმა საქართველოდან ჩამოიტანა სხვა წერილებიც იმავე ერცჰერცოგისათვის გადასაცემად, ეხლა განსახილველი წერილი, კი მივიჩნიოთ უფრო დიდი მიმოწერის ნაწილად.

წერილი დაწერილია ქართულად, ამაღლებული სტილით, სინტაქსური ხარვეზების გარეშე. ტექსტის თარგმნეს ზაზა ალექსიძემ და ლუიჯი მაგაროტომ, რომელთაც მადლობელი ვარ

გვერდზე, რომელზეც ტექსტია დაწერილი, ზედა მარცხენა კუთხეში არის სამდივნო ჩანაწერი: <გიორგიანის მეფისგან?>. უკანა მხარეს, ზედა ზღვრის სიმაღლეზე, ცენტრში: <G+D> (ერცჰერცოგი).

ფლორენციის ერცჰერცოგს

ქრისტე. კურთხეული ღმერთის, შეუცნობელი და ყოვლისშემძლე, მამის, შვილისა და სულიწმინდის სახელით, ჩვენ, მეფე ალექსანდრემ, მივეცი თუფლება ჩვენს ნაცვლად (მოციქული) გაიგზავნოს ჩვენს დიდ იმედთან, ღვთის ძალით (მოწოდებულ) ქომაგთან, ბედნიერებასა და ნუგეშთან, (შენდამი) პატივცემულო მეუფეო, პატივი და დაფარული უხრწნელი დიდების ღვთაებრივი (ნებით) მთელ მსოფლიოში, ზეცამდე ამაღლებულო: (შენ),

ბედნიერო უფალო და ხელმწიფე. გაცნობებთ შემდეგს: ფრანკების¹¹ ადგილობრივი უფროსი ილუმენი, დონ კრისტოფორო კასტელი გაგვეცნო და მისგან მოვისმინეთ თქვენი უსაზღვრო ძალაუფლების უმაღლესი ქება და დიდება, რომელიც ვრცელდება ხმელეთსა და ზღვაზე. მადლობა ღმერთს, ჩვენც ქრისტიანები ვართ: იესეს, დავითის, სოლომონის (შთამომავლები)¹² და ღვთაებრივი მადლით ვატარებთ ბაგრატონის გვირგვინს. ღვთის მადლითა და ჩვენს საბედნიეროდ ჩვენ არ გვაკლია ღვთაებრივი მხარდაჭერა, რამდენიც არ უნდა გვტანჯოს ბოროტებამ. მამა დონ კრისტოფორო კასტელი [ყველაფერს] გაგიზიარებთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან დიდ გაჭირვებაში ვიმყოფებით, თქვენ ხართ ქრისტიანი ხელმწიფე და თუ უფალი ღმერთის მადლით რაიმე წამალს მოგვიძღვრით, დიდ წყალობას ჩაიდენთ ღვთაებრივი მადლიერებისა და ჩვენი ღვთისმოსაობის წყალობით. თუ [საქართველოს-ე.მ.] ამ მხარეებიდან რაიმე დაგჭირდებათ, ჩვენ აუცილებლად გამოვიგზავნით, იმასაც კი, რასაც ჩვენი შვილისთვის არასდროს გავიმეტებდით.

ალექსანდრე ხელმწიფე (Bernadete Majorana, 1990: 137).

Al Granduca di Firenze

Cristo. In nome di Dio Benedetto, imperscrutabile e onnipossente, del Padre, del Foglio e dello Spirito Santo, noi, re Alessandro, ci siamo concessi licenza di inviare in nostra vece (il messaggero) alla nostra grande Speranza, per grazia di Dio (chiamato) a felicità e consolazione, (a voi) venerando paladino, dell' onore e coperto dal (volere) divino di imperitura gloria in tutto il mondo, elevato fino al cielo: a(voi), felice signore e sovrano. Vi facciamo partecipi di quanto segue: il locale anziano superiore dei franchi, don Cristoforo Castelli, si è presentato a noi e da lui abbiamo udito massima lode e grande elogio dello sterminato vostro potere che (si estende) per terra e per mare. Rimgraziando Dio anche noi siamo cristiani, (discendenti) di Iese, di Davide, di Salomone e per grazia divina portiamo la corona dei Bagrat'ioni. Per volontà di Dio, e per la vostra felicità, non ci manca il sostegno divino, tuttavia un male ci affligge: padre don Cristoforo Castelli viene far partecipi. Benche noi stiano grandemente indrgni, voi siete un sovrano Cristiano e se, per grazia del Signore Iddio, ci concederete qualche medicamento, farete una grande misericordia (attirandovi) la riconoscenza divina e la nostra devozione. Se qualche cosa da queste parti vi tornasse di bisogna, noi ci faremmo premura di inviarvi anche quello mai avremmo concesso al figlio nostro.

Alesandro Sovrano

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

¹¹ ფრანკები – ლათინები. ასე ეძახდნენ კათოლიკური სარწმუნოების მიმდევრებს.

¹² როდესაც ბაგრატონებმა საბოლოოდ დაიმკვიდრეს საქართველოს სამეფო ტახტი, მათს ტიტულატურაში აისახა ბიბლიურ მეფეებთან მათი კავშირის შესახებ. ჩვეულებრივ მეფეთა სიგელები იწყება შემდეგი სიტყვებით: `შეწევითა და ბრძანებითა ღმრთისათა ჩუენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატონიანმან...` (ვრცლად იხ. მამისთვალისძე, 2008: 171-198).

- არქანჯელო ლამბერტი. (2015). *რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე)*. იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურნამ პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი.
- ველია ჩელები. (1973). „*მოგზაურობის წიგნი*“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, გამოკვლევა, კომენტარები, თბილისი.
- თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, თფილისი.
- კრისტოფორო კასტელი. (1076). *ცნობები და აღბოძო საქართველოს შესახებ*. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- ლიჩინი ა. პ. (2009). *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში*. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2008). *ბაგრატიონების სამეფო დინასტიის წარმოშობისა და გაღვთიურების ისტორიისათვის*. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, V, თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2011). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, II (XVII ს. პირველი ნახევარი – თეიმურაზ I-ის ეპოქა), თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2019). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, ტ. III (ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის. XVI-XVIII სს.), თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2022). *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, ტ. VI. (პიეტრო დელა ვალე – დიპლომატი, მოგზაური. XVII საუკუნის პირველი მესამედი), თბილისი.
- მამისთვალიშვილი, ე. (2016). *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორია*, თბილისი.
- მეტრეველი, ე. (1962). *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)*, თბილისი.
- პაიჭაძე, გ. (1965). *მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658)*. საისტორიო მოამბე“, 19-20, თბილისი.
- პაპაშვილი, მ. (2005). *დონ კრისტოფორო დე კასტელი ქართული დიპლომატიის სამსახურში*. საისტორიო ვერტიკალები, №7.
- ტაბალუა, ი. (1987). *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, III, თბილისი.
- ურუშაძე, თ. (1987). ქვრივიშვილი თ. *საქართველოს ნიადაგების სარკვევი*, თბილისი.
- ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. (1987). *რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე)*. იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბილისი.

Bernadete Majorana. (1990). *La gloriosa impresa*, Selerio editore Palermo, Palermo.

Cessi Roberto. (1946). *Storia della Repubblica di Venezia*, Milano-Messina, Principato, II.

- Licini, P. A. *Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia*. Regnum Dei. Collectanea theatina “, XLI, jan-dek, n. III, № 111.
- Licini, P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, missionario in Georgia e Mingrelia*, Milano.
- Licini, P. A. (1981). *la corrispondenza di D.C. Castelli*, „Bedi kartlisa, Revue de kartvelogie“, Paris, XXXIX.
- Licini, P. A. (1984). *The Correspondence by C. Castelli in Chierici Regolari's Archives; his Artistic Personaliti*, in „L'a Georgiana dal IX al XIV secolo, Atti del 3^o Simposio Internazionale sull' Artee Georgiana“.
- Pastor Ludvig von. (1919-1934). *Storia dei papi dalla fine del Medio Evo*, Roma, Desclee, 1919-1934, XIII
- Vocabolario degli Academy della Crusca, 1889.
- Полиевктов, М. (1937). *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615-1640*. Документы к печати подготовил и предисловием снабдил М. Полиевктов, Тбилиси.

REFERENCES

- arkanjelo lambert'i. (2015). relatsia sakartveloze (XVII sauk'une). it'aliuri t'ekst'i targmnes, shesavali da shenishvnebi daurtes murnam p'ap'ashvilma da zurab gamezardashvilma. tbilisi.
- evlia chelebi. (1973). `mogzaurobis ts'igni~, turkulidan targmna, k'oment'arebi da gamok'vleva daurto g. puturidzem, nak'v. I, gamok'vleva, k'oment'arebi, tbilisi.
- tamarashvili, m. (1902). ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris, tpilisi.
- k'rist'oporo k'ast'eli. (1076). tsnobebi da albomo sakartvelos shesakheb. t'ekst'i gashipra, targmna, gamok'vleva da k'oment'arebi daurti bezhan giorgadzem, tbilisi.
- lichini a. p'. (2009). k'rist'oporo k'ast'eli da misi misia sakartveloshi. targmani, shesavali da shenishvnebi murman p'ap'ashvilisa, tbilisi.
- mamistvalishvili, e. (2008). bagraat'ionebis samepo dinast'iis ts'srmoshobisa da gaghvtiurebis ist'oriisatvis. sakartvelos ebraelta ist'oriul-etnograpiuli muzeumis shromebi, V, tbilisi.
- mamistvalishvili, e. (2011). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, II (XVII s. p'irveli makhevari _ teimuraz I-is ep'oka), tbilisi.
- mamistvalishvili, e. (2019). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, t'. III (brdzola sarts'munoebisa da erovnuli damouk'ideblobis datsvisatvisa. XVI-XVIII ss.), tbilisi.
- mamistvalishvili, e. (2022). sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia, t'. VI. (p'iet'ro dela vale _ dip'lomat'i, mogzauri. XVII sauk'unis p'irveli mesamedi), tbilisi.
- mamistvalishvili, e. (2016). ierusalimos ts'minda jvris monast'ris ist'oria, tbilisi.
- met'reveli, e. (1962). masalebi ierusalimis kartuli k'oloniis ist'oriisatvis (XI-XVII ss.), tbilisi.
- p'aich'adze, g. (1965). masalebi ruset-sakartvelos urtiertobis ist'oriisatvis (1652-1658). saist'o-rio moambe~, 19-20, tbilisi.

- p'ap'ashvili, m. (2005). don krist'opori de k'ast'eli kartuli dip'lomat'iis samsakhurshi. saist'o-rio vert'ik'alebi, #7.
- t'abaghua, i. (1987). sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi, III, tbilisi.
- urushadze, t. (1987). kvrivishvili t. sakartvelos niadagebis sark'vevi, tbilisi.
- juzep'e judiche milaneli. (1987). relatsia sakartveloze (XVII sauk'une). it'aliuri t'ekst'i targmnes, shesavali da shenishvnebi daurtes murman p'ap'ashvilma da zurab gamezardashvilma, tbilisi.
- Bernadete Majorana. (1990). *La gloriosa impresa, Selerio editore Palermo*, Palermo.
- Cessi Roberto. (1946). *Storia della Repubblica di Venezia*, Milano-Messina, Principato, II.
- Licini, P. A. *Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia*. Regnum Dei. Collectanea theatina ~, XLI, jan-dek, n. III, # 111.
- Licini, P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, missionario in Georgia e Mingrelia*, Milano.
- Licini, P. A. (1981). *la corrispondenza di D.C. Castelli*, ` Bedi kartlisa, Revue de kartvelogie~, Paris, XXXIX.
- Licini, P. A. (1984). *The Correspondence by C. Castelli in Chierici Regolari's Archives; his Artistic Personaliti*, in `L'a Georgiana dal IX al XIV secolo, Atti del 3º Simposio Internazionale sull' Artee Georgiana~.
- Pastor Ludvig von. (1919-1934). *Storia dei papi dalla fine del Medio Evo*, Roma, Desclee, 1919-1934, XIII.
- Vocabolario degli Academy della Crusca, 1889.
- Polievktov, M. (1937). *Materialy po istorii gruzino-russkih vzaimootnoshenij. 1615-1640. Dokumenty k pechati podgotovil i predisloviem snabdil M. Polievktov*, Tbilisi.